საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA020358416759323

ქ. თბილისი

N39-ს

26 / აპრილი / 2023 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ოფიციალური კორესპონდენციის/წერილის და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბლანკის ნიმუშების დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის N572 დადგენილებით დამტკიცებული „აღმასრულებელი ხელისუფლების, ზოგიერთი საჯარო დაწესებულების ემბლემის გამოსახვის წესის“ მე-4 მუხლისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 21 ნოემბრის No1-1/642 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დებულების“ მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ოფიციალური კორესპონდენციის/წერილის და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბლანკის ნიმუშები თანდართული დანართი No 1; No 2; No 3 და No4-ის შესაბამისად.

2.ადმინისტრაციული სამმართველოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილებამ უზრუნველყოს ამ ბრძანების შესასრულებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

3. ამ ბრძანების პირველი მუხლი ამოქმედდეს 2023 წლის 03 მაისიდან.

საფუძველი: ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 18 აპრილის No 06/262 წერილი; ჰერალდიკის საბელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მამუკა გონგაძის 2023 წლის 18 აპრილის No80 წერილი.

ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

მაია ომიაძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს

ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA020145361613323

№ 34-ს **19 / მაისი / 2023 წ.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ბლანკების დამტკიცების შესახებ

"საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 5 მარტის N1-1/66 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "ა" და "ზ" ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ბლანკები (წერილისა და ბრძანების) დანართის შესაბამისად.

2. ბრძანება ამოქმედდეს მიმდინარე წლის 1 ივნისიდან.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის: ქ.თბილისი, სანაპიროს ქ. N1) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N6).

საფუძველი:

- საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის № 572 დადგენილება - „აღმასრულებელი ხელისუფლების, ზოგიერთი საჯარო დაწესებულების ემბლემის გამოსახვის წესი“;
- საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს წერილი (N 91; 27/04/2023).

ხელმოწერილია/
შტამპვასმულია
ელექტრონულად

თავმჯდომარე ავთანდილი კასრაძე

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი

12 / ივლისი / 2023 წ.

KA020190389062823

№ 1-1/268

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

“საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს ოფიციალური კორესპონდენციის/ წერილის და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბლანკის ნიმუშების დამტკიცების შესახებ”

„სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის, „აღმასრულებელი ხელისუფლების, ზოგიერთი საჯარო დაწესებულების ემბლემის გამოსახვის წესი“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის N572 დადგენილების მე-3 მუხლისა და „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის N70 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1.
დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს ოფიციალური კორესპონდენციის/წერილის და ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ბლანკის ნიმუშები დანართი N1–N3 - ის შესაბამისად.

მუხლი 2.
საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტომ უზრუნველყოს ამ ბრძანების შესასრულებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3.
ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/ მტამპდასმულია ელექტრონულად

ლევან დავითაშვილი